



## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/113/19

27-03-2019

**„საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №259/3 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“, „ს“ და „შ“ ქვეპუნქტებისა და 219-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ფრაქციის „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“ თავმჯდომარის გიორგი ლომიას 2019 წლის 27 მარტის №2-5352/19 წერილის საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №259/3 ბრძანების №4 დანართის („ქალაქ თბილისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლის A, B, C და AB კორპუსების სტუმრებისათვის საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვების უფლების მქონე პირთა ნუსხა“) V თავის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6<sup>1</sup> პუნქტი:

„6<sup>1</sup>. ეკა ჩახნაშვილი – ფრაქციის „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“ აპარატის თანამშრომელი;“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი  
თამარ ჩუგოშვილი